



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში  
N7 - ინტერნეტ ბანკი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები/დამატებები:

1. დაემატოს ქვეპუნქტი 6.37. და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.37.გაიაქტიუროს/გააუქმოს თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიღების სერვისი. **კლიენტი ბანკისთვის** შესაბამისი თანხმობის მიცემის საფუძველზე მიიღებს ინფორმაციას თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ, შემდეგ სახაზინო კოდზე - 10100100. აღნიშნული სერვისის გააქტიურება მოხდება **კლიენტს** მიერ მოთხოვნის დაფიქსირებიდან მეორე დღეს. **კლიენტისთვის ინტერნეტ ბანკში** ხელმისაწვდომი იქნება წინა კალენდარული დღის მდგომარეობით, აღიარებული და გადასახდელი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც **ბანკს** აწვდის სსიპ შემოსავლების სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტს** არ უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება, სერვისის ფარგლებში **კლიენტს** არ გამოუჩნდება საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი სსიპ შემოსავლების სამსახურისგან **კლიენტის** საგადასახადო დავალიანების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.